29 სექტემბერს გაიმართა სსრ კავშირის 48–ე საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, 28–ე ტურის მატჩები.

“ნეფთჩი” (ბაქო) – “დინამო” (თბილისი) 1:0 (0:0).

ბაქო. რესპუბლიკური სტადიონი. 29 სექტემბერი.

“ნეფთჩი”: ჩანოვი, ალაჰვერდიევი, ბელიალოვი, ბაზულევი, პანჩიკი, სულეიმანოვი, იუდინი (მირზოევი), ვახაბ–ზადე, პონომარიოვი, ახმედოვი, ჯავადოვი.

“დინამო”: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია (ბარათაშვილი), არზიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, მიქაბერიძე, ჩელებაძე, მესხი.

მსაჯი: ა. სპირინი (მოსკოვი).

დუბლიორები – 1:0.

ამ მატჩში მოპოვებული გამარჯვება ან თუნდაც, ფრე თბილისის “დინამოს” საკმაოდ მყარ პოზიციებს უნარჩუნებდა სატურნირო ცხრილის შუაგულში, ხოლო მასპინძლები გაცილებით უფრო რთული, გადაუდებელი ამოცანის წინაშე იდგნენ. თითოეული ქულის დაკარგვა “ნეფთჩისთვის” ახლა აუტსაიდერთა რიგებში საბოლოოდ დარჩენას ნიშნავს, ამას კი მეტად არასახარბიელო პერსპექტივები ახლავს.

უნდა ითქვას, ბაქოელმა ფეხბურთელებმა მათს წინაშე მდგარი მეტად ძნელი ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად გაცილებით უფრო ენერგიულად, მონდომებით იბრძოლეს, ვიდრე თბილისელებმა. მართალია, სტუმრების დაცვის დაძლევა პირველ ტაიმში მათ ვერ შეძლეს, მაგრამ მაქსიმალური ენერგიით, აქტიურად ითამაშეს და ყველას, მეტოქესაც და მაყურებლებსაც თავიდანვე აგრძნობინეს, რომ მხოლოდ გამარჯვებისთვის იყვნენ განწყობილი. ბაქოელთა რიგებში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ახმედოვი, ჯავადოვი, იუდინი, დაცვაში დაუღალავად შრომობდნენ და გუნდის იერიშებს ბევრს ეხმარებოდნენ ბელიაკოვი, ბაზულევი, პანჩიკი, ალაჰვერდიევი.

დინამოელთა შესახებ, სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით. ისინი მეტოქესთან შედარებით აშკარად პასიურად თამაშობდნენ, ნაკლებს მოძრაობდნენ, უმთავრესად მომლოდინეთა როლს სჯერდებოდნენ, და მხოლოდ ეპიზოდური კონტრიერიშებით კმაყოფილდებოდნენ. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს “დინამო” მარტოოდენ ქულის ასაღებად იყო მინდორზე გამოსული. მხოლოდ ტაიმის დასასრულს, ისიც მცირე ხნით გააქტიურდნენ ნახევარდაცვისა და თავდასხმის მოთამაშეები, მაგრამ ამ მორიდებულ შეტევებს შედეგი არ მოუცია.

კიდევ უფრო მეტი ენერგიით განაახლა ბრძოლა “ნეფთჩიმ” შესვენების შემდეგ. კვლავ ძლიერად თამაშობდა ახმედოვი, რომელიც ხშირად ქმნიდა სახიფათო მომენტებს თბილისელთა კართან. ერთ–ერთ ასეთ მომენტში, 57–ე წუთზე, იგი უმეთვალყურეოდ, ღია პოზიციაში აღმოჩნდა მარცხენა ფლანგზე, მიიღო პონომარიოვის გადაცემა და ახლო მანძილიდან ზუსტად დაარტყა – 1:0.

დინამოელები თითქოს ამას უცდიდნენ და მხოლოდ გაშვებული ბურთის შემდეგ შეუდგნენ აქტიურ თამაშს. მეტი ძალით ამოქმედდნენ წინა რგოლების მოთამაშეები, რამდენიმე მომენტი შეექმნათ კაკილაშვილს, ჩივაძეს, მესხს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა მატჩის მთელი წინა პერიოდის პასიურობის ასანაზღაურებლად, მასპინძლები ისევ დიდი აღმავლობით მოქმედებდნენ, საერთო მაღალმა მობილიზებამ და გამარჯვებისაკენ სწრაფვამ მათ სასურველი 2 ქულა მოუტანა. (ბაქო, ტელეფონით).

“ლელო”, 1 ოქტომბერი, 1985 წ.